

სესხზე მიბმული ავტო დაზღვევის

საინფორმაციო ფურცელი

სს „ბაზის ბანკის“ სესხზე მიბმული ავტომობილის დაზღვევის პირობები

საინფორმაციო ფურცელი წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, ავტომობილის დაზღვევის პირობები და სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას.

ვინ არის მზღვეველი?

მზღვეველი ორგანიზაცია: სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ 204426674 ანუ ჩვენ

მზღვეველის მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა #67

მზღვეველის ცხელი ხაზი/ტელეფონი: (+995 32) 250 51 11.

დამზღვევი: ფიზიკური პირი, რომელმაც გააფორმა ხელშეკრულება მზღვეველთან ანუ თქვენ

რისგან ხართ დაზღვეული ?

წინამდებარე დაზღვევა ფარავს პოლისში მითითებული ავტომობილის დაზიანებით გამოწვეულ ზარალს, რომელიც გამოწვეულია შემდეგი რისკებით:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;
- ქურდობა, გატაცება, ყაჩაღობა და მათი მცდელობა;
- ხანძარი, აფეთქება;
- ვანდალიზმი, საგნების ვარდნა;
- სტიქიური მოვლენები - წყალდიდობა, დიდთოვლობა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა;
- მინების, სარკეების, ცალკეული დეტალებისა და აქსესუარების ცალკეული დაზიანება ან/და ქურდობა;

როგორ აქტიურდება სადაზღვევო პოლისი?

სადაზღვევო პოლისი აქტიურდება სადაზღვევო პოლისის სათანადო წესით გაცემიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

ავტომობილის დასაზღვევად უნდა მიმართოთ ბაზის ბანკის იმ თანამშრომელს, რომელიც გემსახურებათ სესხის გაცემის პროცესში.

როგორ უნდა მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას?

- არ გადაადგილოთ ავტომობილი შემთხვევის ადგილიდან (თუ არ იქნება მითითება სამართალდამცავი ორგანოების ან სადაზღვევო კომპანიის მხრიდან);

- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგს“ ცხელ ხაზზე (+995 32) 250 51 11 და აცნობეთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით საპატრულო პოლიციას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მხოლოდ წინა საქარე მინა ან სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით).

რა არის დაზღვეული?

ავტომობილის დაზღვევა შედგება სამი სექციისაგან:

- A. ავტომობილის ძარის დაზღვევისას - ანაზღაურდება ავტომობილის როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თქვენ მიერ შერჩეული და პოლისში მითითებული ფრანშიზის ოდენობის გამოკლებით;
- B. ავტომფლობლის მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევისას - ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილის მართვისას, მესამე პირის სიცოცხლის/ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი;
- C. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევისას - ანაზღაურდება ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეულ ავტომობილში მყოფი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი.

რომელ ქვეყნებში ვრცელდება დაზღვევა?

A სექციისთვის - დაზღვევა ვრცელდება საქართველოს (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა), სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის ტერიტორიაზე, თუ თქვენი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გაითვალისწინეთ, რომ ზემოთ მითითებული ქვეყნების ტერიტორიის გარეთ მომხდარი შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას;

B და C სექციებისთვის - დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა).

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ:

დაზღვევის შესაძენად, უნდა გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია, თქვენს მიერ შერჩეული და მოსარგებლესთან შეთანხმებული სასესხო გრაფიკის შესაბამისად, რაც ასევე ასახული იქნება პოლისში.

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობა, ასევე შესაძლოა განისაზღვროს ფრანშიზის ოდენობით, რომლის არსებობა და ოდენობა შერჩეული იქნება თქვენ მიერ და დაფიქსირდება პოლისში. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე გასაცემ ანაზღაურებას დააკლდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის ოდენობა.

ფრანშიზის ოდენობა 8% ზარალიდან, მინიმუმ 100 ლარი.

შენიშვნა: უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის ასაკის, მართვის გამოცდილების და სადაზღვევო ისტორიის გათვალისწინებით, შესაძლებელია შეთავაზებული იყოს განსხვავებული ფრანშიზა.

საერთო გამონაკლისები

საერთო გამონაკლისების მოცემულია ხელშეკრულების 5.5 პუნქტში (და მის ქვე პუნქტებში)

სადაზღვევო ანაზღაურება აგრეთვე არ გაიცემა:

- სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება ნებისმიერი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებლთან შედარებით;
- ანაზღაურებას არ ექვემდებარება სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეული დაზღვევამდე არსებული მიზეზებით;
- თუ დაზღვევი ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც დაზღვევი შეგნებულად ზრდის ზარალის ოდენობას ან მზღვეველს აწვდის ყალბ ინფორმაციას;
- სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა დაზღვეულის/ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოუდგენლობისას ან/და ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისას;
- სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომობილი გამოიყენება კომერციული მიზნით (ტაქსი, გაქირავება და ა.შ.)

ანაზღაურების ძირითადი პირობები

სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მოთხოვნა მზღვეველს წარედგინება წერილობითი ფორმით.

დაზღვევის პერიოდში, ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ ზიანის დადგომისას სადაზღვევო თანხა ნაკლებია ავტომობილის საბაზრო ღირებულებაზე, გამოიყენება ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების პროპორციული მეთოდი.

სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ზარალის შესაბამისად, ფრანშიზის და სადაზღვევო თანხის გათვალისწინებით.

მზღვეველის მიერ ზარალის დარეგულირება და ზარალის ანაზღაურებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის ზარალის რეგულირებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების შეწყვეტა და სხვა ფინანსური ხარჯი

დაზღვევა შეიძლება შეწყდეს, როგორც მხარეთა შეთანხმებით, ასევე დამზღვევის, ისე სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნით, ნებისმიერ დროს, ამასთან

ა) დამზღვევის ინიციატივით პოლისის შეწყვეტისას

- დამზღვევი ვალდებულია 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობით მიმართოს სადაზღვევო კომპანიას გაუქმების მოთხოვნით;

- თუ შეწყვეტამდე ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს გაუქმების თარიღისათვის გამომუშავებული პრემია და დამატებით 1 თვის შესაბამისი პრემია;

- თუ შეწყვეტამდე ადგილი ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს პრემია;

ბ) მზღვეველის ინიციატივით პოლისის შეწყვეტისას

- მზღვეველი ვალდებულია 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში შეატყობინოს დამზღვევს შეტყობინების გაგზავნის გზით;

გ) წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაზღვევა შეწყდება:

- თუ დამზღვევმა სრულად დაფარა სესხი;

- თუ გრაფიკით გათვალისწინებული დაზღვევის 3 (სამი) თანმიმდევრული ტრანში არ იქნა გადახდილი ან დავალიანება აღემატება 90 დღის გამომუშევებელ პრემიას.

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

თუ პრემიის გადახდა ხორციელდება განვადებით და სადაზღვევო შემთხვევა მოხდა პრემიის სრულ გადახდამდე და ზარალის ოდენობა აღემატება სადაზღვევო თანხის 40%-ს, ანაზღაურებიდან გამოიქვითება გადაუხდელი პრემიის ოდენობა. იმ შემთხვევაში თუ ზარალი ანაზღაურდება ავტომობილის ჩანაცვლების გზით, ვალდებული ხარტ აგვინაზღაუროთ გადაუხდელი პრემიის ოდენობა თქვენთვის აღნიშნული ავტომობილის გადმოცემამდე;

მხარეთა შეთანხმებით ან მზღვეველის ან დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტისთვის სავალდებულოა მოსარგებლის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

ინფორმაცია ჩვენი საზედამხედველო ორგანოს შესახებ

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

დაზღვევის პირობებით ან მომსახურების ხარისხით უკმაყოფილების შემთხვევაში, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს, დაგვირეკოთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 250 51 11 ან მოგვმართოთ ელექტრონული ფორმით ელ. ფოსტის საშუალებით: quality@gpih.ge

ასევე, შეგიძლიათ თქვენი საკითხი დააფიქსიროთ ჩვენს წარმომადგენელთან, მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქუჩა N67, 0161;

თქვენს შეტყობინებას განიხილავს მომსახურების ხარისხისა და კლიენტების კმაყოფილების კონტროლის სამსახური, შეტყობინების დაფიქსირებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.